ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1650916

ნომერი: AR1273183

თარიღი : 15.12.2014

გაცემის თარიღი : 19.12.2014

გაცნობის თარიღი : 26.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან, (ნაკვეთი N1/37) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/045) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- არჩილ ქავთარაძე პ/ნ 01015009032
- თბილისი სანაპიროს ქ. N 2ა ბ. 40

ორგანიზაცია:
- ვინდფორს მედია კოდი: 405039756

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე პირველ ეტაპზე ფასადის მოხატვის, ხოლო მეორე ეტაპზე ბანერის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან (ნაკვეთი №1/37)/ბელიაშვილის ქუჩა მიმდებარედ (ნაკვეთი 01/045), შპს „აზერ რამან კო“-ს კუთვნილი შენობის ფასადზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე პირველ ეტაპზე ფასადის მოხატვას (2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით), ხოლო მეორე ეტაპზე ბანერის მოწყობას (2015 წლის 01 იანვრიდან).

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882013568352 21.12.2013წ. საკადასტრო კოდი №01.13.02.001.049, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი; ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული გადაწყვეტილება 08.12.2014 წ. №1626603) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან (ნაკვეთი №1/37)/ბელიაშვილის ქუჩა მიმდებარედ (ნაკვეთი 01/045), შპს „აზერ რამან კო“-ს კუთვნილი შენობის ფასადზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე პირველ ეტაპზე ფასადის მოხატვის (2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით), ხოლო მეორე ეტაპზე 08.12.2014 წ. №1626603 გადაწყვეტილების მიხედვით ბანერის მოწყობის (2015 წლის 01 იანვრიდან) შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge